

ლილე თანდილავა

თურქული ელემენტების შესახებ ლაგურში

ქართველი ერის უმდიდრესი ისტორიული წარსულის შესწავლა ქართველურ ენათა ისტორიის შესწავლის გარეშე შეუძლებელია.

ქართველურ ენათა წრეში ლაზურს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, ლაზურის ვითარება საგანგებოა. ლაზეთი მთლიანად, თუ მხედველობაში არ მივიღებთ სოფელ სარფის ნახევარს, თურქეთის მფლობელობაშია. ლაზთა შორის ორენოვნება დიდი ხანია დამკვიდრდა, რასაც უთუოდ მოჰყვა თურქული ლექსიკის მოძალება. თანამედროვე ლაზური ლექსიკა მდიდარია თურქიზმებით და ის საგანგებო შესწავლას მოითხოვს. თურქული წარმოშობის სახელთა და ზმნათა სესხება და დამკვიდრება ლაზურში სხვადასხვა გზით წარიმართა. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ თურქულიდან შესული ზმნები ლაზურის ორგანულ ნაწილად იქცა, ვინაიდან სავსებით დაექვემდებარა ლაზურის გრამატიკულ სტრუქტურას, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩაჯდა მის გრამატიკულ ყალიბში. წინამდებარე შრომა ეხება თურქულიდან ნასესხებ ზმნათა ლაზურ ლექსიკურ ფონდში დამკვიდრების დინამიკას.

არსებითად გამოვლინდა თურქულიდან ნასესხები ზმნების წარმოების სამი ტიპი:

I. თურქულიდან შემოსულ ზმნებს მასდარის წარმოების დროს დაერთვის ო-თავსართი და -უ ბოლოსართი, ისევე როგორც ეს ქანური მასდარის წარმოების დროს გვაქვს. მაგალითები:

çalışmak	ო-ჩალიშ-უ	„მუშაობა“
alışmek	ო-დუშუნ-უ	„ფიქრი“
şaşmak	გო-შაშ-უ	„გაოცება“
karişmak	ო-კაიშ-უ	„ჩარევა“
paslamak	ო-ფას-უ	„დაქანგვა“

სანიმუშოდ ავიღოთ ზმნა ოჩალიშუ სამივე სერიაში:

I სერია

1. აწმყო:	ვ-იჩალიშ-ეფ	„ვმუშაობ“
2. უწყვეტელი:	ვ-იჩალიშ-ეპ-ტი	„ვმუშაობდი“
3. აწმყოს კავშირებითი:	ვი-ჩალიშ-ა	„ვმუშაობდე“

1. მყოფადი:	ვ-იჩალიშ-ამინონ	„ვიმუშავებ“
2. I ხოლმეობითი:	ვ-იჩალიშ-ეპ-ტი	„ვიმუშავებდი“

3. მყოფადის კავშირებითი: ვ-ჩალიშ-აპ-ტანა „ვიმუშავებდე“

II სერია

- | | | |
|-------------------|-------------|------------|
| 1. წყვეტილი: | ვ-ჩალიშ-ი | „ვიმუშავე“ |
| 2. II კავშირებითი | ვ-ჩალიშ-ანა | „ვიმუშავო“ |

III სერია

- | | | |
|---------------------|------------------|-------------|
| 1. I თურმეობითი: | მი-ჩალიშ-უნ | „მიმუშავია“ |
| 2. II თურმეობითი: | მა-ჩალიშ-ატ-უ | „მემუშავა“ |
| 3. III კავშირებითი: | მა-ჩალიშ-ატ-უნ-ა | „მემუშაოს“ |

II თურქულში გვაქვს შედგენილი ზმნები, რომელთა სესხების დროს სახელად ნაწილს ემატება ლაზური დამხმარე ზმნა. ეს უკანასკნელი იუღლება, სახელადი ნაწილი კი უცვლელი რჩება:

innat etmek	ინადი ოხვენუ	„გაჯიუტება“
yemin etmek	იემინი ოხვენუ	„დაფიცება“
merak etmek	მერალი ოხვენუ	„დაინტერესება“
davet etmek	დავეტი ოხვენუ	„მიპატიჟება“
kavga etmek	კაბლა ოხვენუ	„ჩხუბი“, „ომი“

მაგალითად: innat etmek „გაჯიუტება“

აწმყო დრო

I ინადი ვიქიფ	„ვიჯიუტობ“
II ინადი იქიფ	„ჯიუტობ“
III ინადი იქიფს	„ჯიუტობს“
I ინადი ვიქიფთ	„ვიჯიუტობთ“
II ინადი იქიფთ	„ჯიუტობთ“
III ინადი იქიფან	„ჯიუტობენ“

აორისტი (ნამყო წყვეტილი)

- I ინადი პი (Հპყ) „გავჯიუტდი“
- II ინადი ყუ „გაჯიუტდი“
- III ინადი ყყეს „გაჯიუტდა“
- I ინადი პით „გავჯიუტდით“
- II ინადი ყით „გაჯიუტდით“
- III ინადი ყყეს „გაჯიუტდნენ“

მომავალი დრო

- I ინადი ვოლოდამინო „გავჯიუტდები“
- II ინადი ოლოდაგინონ „გაჯიუტდები“
- III ინადი ოლოდასინონ „გაჯიუტდება“
- I ინადი ვოლოდამინონან „გავჯიუტდებით“
- II ინადი ოლოდაგინონან „გაჯიუტდებით“
- III ინადი ოლოდასინონან „გაჯიუტდებიან“

III ამ ტიპის ზმნები კვლავ შედგენილია, ოღონდ ლაზური ამ ზმნების მხოლოდ ახელადი ნაწილისაგან აწარმოებს ზმნებს, დამხმარე ზმნას აღარ ხმარობს:

- hizmet etmek ოხეზმეტუ „მოვლა“
- hesap etmek ოხესაპუ „ანგარიში“
- fikir etmek ოფიკირუ „ფიქრი“
- pisman etmek ოფიშმანუ „დანანება“, „სინანული“.
- fukara etmek ოფურარუ „გალარიბება“

მაგალითად: pisman etmek ოფიშმანუ „სინანული“

აწმყო

- I ვიფიშმან „ენანობ“
- II იფიშმან „ნანობ“
- III იფიშმანს „ნანობს“
- I ვიფიშმანთ „ენანობთ“
- II იფიშმანთ „ნანობთ“
- III იფიშმანან „ნანობენ“

აორისტი (წყვილი)

- I ვიფიშმანი „ვინანე“
- II იფიშმანი „ინანე“
- III იფიშმან „ინანა“
- I ვიფიშმანით „ვინანეთ“
- II იფიშმანით „ინანეთ“
- III იფიშმანეს „ინანეს“

მომავალი

- I ვიფიშმანამინონ „ვინანებ“
- II იფიშმანაგინონ „ინანებ“
- III იფიშმანასინონ „ინანებს“
- I ვიფიშმანამინონან „ვინანებთ“
- II იფიშმანაგინონან „ინანებთ“
- III იფიშმანასინონან „ინანებენ“

როგორც ვხედავთ, თურქულიდან ნასესხებ ზმნას ლაზურში გააჩნია ყველა მწკრივი და ისევე იუღლება, როგორც ლაზური ზმნა. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყველა თურქული ზმნა ჩამჭდარია ლაზური ენის გრამატიკულ ყალიბში.

LILE TANDILAVA

ON THE TURKISH ELEMENTS IN ZAN LANGUAGE

Turkish verbs in Zan possess all series of Zan and decline according to the Zan verb. It can be said for certain that all the Turkish verbs acquire grammatical patterns of the Laz language.

The paper discusses the dynamics of establishing verbs borrowed from Turkish in the Zan Language.